



№ 20

18 მაისი 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

== 3 მან. ==

სოციალ-დემოკრატიული საზოგადო-
მართებრივი და სალიბერალური შუამდგომლობის

წელიწადი მისამდე

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქცია ღიაა 9 - 3 საათ.

მისამართი: თბილისი, გაბაევსკი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზიტის: თბილისი კლდე.

- ს ა რ ჩ ე მ ე ნი:
1. † კოტე მესხი — *.*.სა.
 2. თაგ. აზნ. მუხრანოვს. — ალ. სარაჯიშვილისა.
 3. გერმანელთა ახალშენი. — Legatus-ისა.
 4. აღსასრული. — დ. კასრაძისა.
 5. ზრე-სა.
 6. მე არ შიკვირს. — ეკალისა.
 7. შენიშვნა შენიშვნაზედ. — ნაცნობისა.
 8. დია წერილი. — ძალად სომეხ-კათოლიკეები.
 9. ნარევი.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

სოციალ-დემოკრატიული საზოგადო-მართებრივი

და სალიბერალური შუამდგომლობის

„კლდე“-ზედ.

ფ ა ს ი:	1 წლით.	3 მან.
	6 თვით.	2 მან.
	3 თვით.	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

† კოტე მესხი

დიდი მწუხარება აქვს ამ ქამად ქართულ სცენას და ამ მწუხარებას გულწრფელად აზიარებს ქართველი საზოგადოებაც. კოტე მესხი საკმაოდ თავისებური, საკმაოდ ნიჭიერი და დიდი ხნის გამონაცადი არტისტი იყო და საკმაოდ თვალსაჩინო კვალი დასტოვა მან ჩვენს სსსცენო ხელოვნებაში, რომ იგი დიდი ხნის მოსაგონარი იყოს ჩვენთვის.

კოტე თითქმის ერთად-ერთი სერიოზული, შეგნებული და განვითარებული არტისტი იყო, რომელიც თუ ზოგიერთებს ბუნებრივი ნიჭით ჩამორჩებოდა, სამაგიეროდ გამრცდილებით, დაკვირვებით და შთაბეჭდილებათა მრავალ ფეროვანებით იგი სხვებზედ მაღლა იდგა.

ყოველი კოტეს მიერ დახატული ტიპი დასრულებული და ცოცხლად გამოსახულია, თუმცა, შეიძლება მისი თამაში არ იყო თვალწარბეცატი, მაგრამ მისგან გამონაკვეთული ტიპი ღრმად ჩამაფიქრებელი იყო და ყოველ მხრით აწონ-დაწონილი. უსამართლობა იქნება ვსთქვათ, რომ კოტე მესხი მხოლოდ ტენიკოსი იყო, რადგანაც ის ბევრი მხატვრული განცდანი, რომელნიც მას ჩვენთვის მოუნიჭებია, მარტო ტენიკის წყალობით შეუძლებელია. კოტემ ბევრი რამ შეიძინა საზღვარ-გარედ მოგზაურობის დროს და ამ გამოცდილებამ და ნახულმა ხელი შეუწყო ღრმად ჩაჰკვირვებოდა იმ ხელოვნებას, რომელსაც ემსახურებოდა. მაგრამ აგრედვე ამ მოგზაურობამ თავისებურად შეაზავა იმერული და ფრანგული კილო და დიქცია კოტე მესხისა რაღაც შიუბაძეველი და გაუმეორებელი რამ იყო. ვერ იტყვიან ეს მანერა. ეს თავისებური დიქცია მოგწონდათ თუ არა და სწორედ ეგაა იმის მაჩვენებელი რომ საქმე უბრალო არტისტთან არა გქონდათ.

ამ თითქოს არა ბუნებრივ დიქციას კოტე ისეთის ხერხით, ისეთის ტემპარამენტით და იუმორით ხმარობდა, რომ სიამოვნებას გრძნობდით. კოტეს უფრო კომიკური როლები ეხერხებოდა ან როლები რეზონიორისა. მაგრამ ღრამასაც არ ერიდებოდა და არა ერთი და ორი შეუსრულებია ღირსეულად.

კოტე მესხს ნაპოლეონის როლში, ან ნერონისა, ან „ქირვეული ცოლის მორჯულებამში“ ჯერჯერობით ღირსეული მემკვიდრე არა ჰყავს, ისეთის სიცხოვლით, ისეთის იუმორით ასრულებდა იგი.

კოტეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი თეატრის განვითარებაში და გაფურჩქვნაში, მაგრამ მხოლოდ სცენით არ განისაზღვრებოდა მისი მნიშვნელობა ჩვენს საზოგადოებაში.

კოტემ ბევრი დასწერა ღრამა და კომედიები, იგი ერთ დროს პატარა გაზეთსაც სცემდა და ფაცილებით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებას.

ღიად, დიდად შეწუხებულია ამ აუნაზღაურებელ დანანაკარგით ქართული სცენა, რომელსაც კოტემ შეალოა თავისი სიცოცხლე, მაგრამ არა ნაკლებ გულ დათუთქული იგლოვებს მას ქართული საზოგადოებაც.

*
* *

თავადიშვილის მეურნეობა ამ ასის წლის წინაღ

ჩვენი ძალიან ცოტა რამ ვიცით ჩვენი უწინდელის შინაურობისა, კერძო კაცის ცხოვრებისა. აქამდის ჩვენი ძველის უფა ცხოვრების რამდენადმე სისტემატიურსა და სრულს აღწერას ვზოვეთ მხოლოდ უცხო მოგზაურების ნაწერებში. ეს აღწერანი დიახვ დიდი განძია ჩვენი ისტორიისა და კოლონიალიზაციის, მაგრამ სრულის ნდობის დარსნი მაინც არ აიან. უცხო კაცი, მართადა, ზოგს ისეთს რასმე ჰხედავს ჩვენი ცხოვრებაში, რასაც ჩვენ უურადღებას არ ვაქცევთ, როგორც ჩვეულებრივსა და უმნიშვნელს; მაგრამ რასაც ხედავს, უკუკლდვის სწორედ ვერ იგნებს და იმის ნამდვილს მახუზს ვერა ხვდება.

ჩვენი ძველის უფა ცხოვრებას შესასწავლად ერთად ერთი უტყუარი გზა ვაქვს: მომთინებთა და გულმოდგინებით ვაგრძოთ და გამოვიძიოთ ძველი წერილითი საბუთები, რაც უნდა მცირეი და უმნიშვნელნი იყვნენ, და მათის კრიტიკულის განსაღკით ადგადვისთა დაკარგული სურათი ჩვენი ძველის შინაურობისა.

ერთი ასეთი წერილითი საბუთი ვზოვე მე თარხინთ გვარას ქადაღების გარჩევის დროს, და მისურს გავიზიაროთ მასი შინაარსი. ეს არის, - ასე ვსთქვათ, - შემორანდში, ახუ მოსაკანებელი წერილი, რომელშიაც ჩამთვლილია უკელა ღვაწლი და კინანხულობა, რაც დავით თარხინშიდის დაუდვია თავის სახლისა და მამულის წარმატებისათვის.

მაგრამ სწამ იმ მოსაგონებელს წერდას წავიკითხვადეთ, საჭიროა თვით ავტორი გავიგნოთ.

დავით თარხნიშვილი, თავით თვისით შესანიშნავი კაცი, შესანიშნავს დროსაც სცნოვრებდა: ს:ქართველოს ს:მეფის დამლას დროს და რუსეთის მიფლობელობის დ:მეფიდრეპასას. დაიბადა 1765 წელს და გარდაიცვალა 1839 წ. ესასურა ქართველ მეფეებს და რუსის მთავრობას, და ამ სამსახურით იმავა ქართული მინბაშობა და რუსული ზოდვლავონიკობა.

მოსაგონებელს წერილში დავით თარხნიშვილი არას ამბავს მეფეების სამსახურზე; იმის სიტუვით თითქო არც კი უმსახურნია და თავისი ემაწვილ-კაცობა სხვის და მამულის მოვლის:თვის შეუღევა. მაგრამ მისის ფორმულარადან სხანს რომ ემაწვილობითვე ერეკლე მეფის ბძახებით ვ:სტანგ ბატონიშვილს ხლებია, შემდეგ მის „დაუტანტად“ განეწესებოათ და მდივნობაც უბოძებოათ. ერეკლე მეფის დროსკე თქვესმეტა წლას დავით თარხნიშვილი შევიდა დაშქრობაში, და მას ქვეთ იბრძოდა იმერეთს, შუას, უარს, განჯას, ჭავჭავთის და კრივანში. და ამდენს თმში, ს:გონებულია, მხედრობის რამე ნიჭი დამოსხენია, რომ გიორგი მეფეს მინბაშად, აასის თავად დაუეგნებია.

მთავრობა თუ არა ბატონიშვილების მეფობა, დავით თარხნიშვილმა რუსის მთავრობას დაუწყო მსახურება. 1802 წლიდან 1831-მდე იღებს მონაწილეობას რუსების სხვა და სხვა დაშქრობაში. მაგრამ რუსები იმის მხედრულ ნიჭს ისე არ აფასებდნენ, როგორც აღმინსტრატორულს და, ასე ვთქვათ, დიპლომატიურს ხერხიანობას. დავით თარხნიშვილს რუსის მხედრობაში არავითარი მტატის თანამდებობა არ სჭერია; თავისი სამსახური იმან სამთქალაქო უწევებაში გაატარა. ზარეულად 1803 წელს თავად ახსნურთამ ირჩია გორის უეზდის ს:ამართლოს მდივანბეკად, მერე გორის მაზრის მარშლად და ბოლოს 1831 წელს დაინიშნა წევრად კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ეაღბა დოკუმენტების გარეკვა.

ეს იყო მტატის თანამდებობის სამსახური დავით თარხნიშვილისა. ხოლო ამავე დროს მას ავადებდნენ სხვა და სხვა გვარი განსაკუთრებული საქმის ასრულებას, პრეპორუჩენნისტი—მამანდელის თეოციკლურის ენით. ეს განსაკუთრებული საქმეები შეეხებოდა სხვა და სხვა არეულობის და ამბოხების დამშვიდებას, რომელიც გამოიწვია რუსულის მართველობის შემთავებამ საქართველოში. ასე რომ დავით თარხნიშვილმა თავისი მხედრული ქველბობა რუსობის დროს უფრო მინაერი მტრის დამარცხებას შეაღია. ეამებოდა ლეკებს თრიალეთში 1802 წ.; იკლებდა სოფელ თიგნისს; ამშვიდებდა მკამ-

ბოხებს ქსნისა და მეჯვრისხევის ხეობებში; იჭერდა მკამბოხე ბეგაშვილს; ეამებოდა აფანეებულს ოსებს ლახვის ხეობაში 1809 წ.; იზერობდა ალექსანდრე ბატონიშვილის შემოხენილს კაცებს და მისთვის დაღესტანში გაგზავნილს ხახინსს.

მაგრამ უადრესი სამსახური, რომელიც დავით თარხნიშვილმა რუსის მთავრობას გაუწია, იყო მისი მტამედება იმერეთში 1809 და 1810 წელს, როცა რუსის მთავრობა სცდილობდა შეეხერა მეფე სოლომონ II და ბოლო მოეღო იმერეთის ს:მეფოსთვის. მთავარმართებელი გრაფი გუდოვიჩი და მერე ტორმასოვი გზავნიდნენ დავით თარხნიშვილს იმერეთში ხან რუსის ჯარის უფროსის ორბელიანის და ხან სოლომონ მეფის სახლთხურესის ზურაბ წერეთლის მაშველად იმერეთის მეფესთან მოლაზარაკებაში. ამ მოლაზარაკების სჯანი იყო, რომ სოლომონ მეფე უნდა დაეულოათ იმერეთიდან ქართლში გადასულიყო ვითამც მთავარმართებელის სხანსავად და თავისი ბედი მადლის და მოწყადის რუსთ ხელმწიფის ხელთ ჩაებარებინა. როგორც ვიცით, ეს დიპლომატიური მისია რუსის მთავრობის სსურველად დასრულდა; სოლომონ მეფე გადმოვიდა ქართლში, სდაც იქმნა შეზერობილი და სხატით ტუვედ ქალაქს წამოეგანილი.

დავით თარხნიშვილის სამსახური იმერეთში ამით არ გათავებულა. სოლომონ მეფის შეზერობის შემდეგაც დარჩა იმერეთში, და როცა მეფე ქალაქიდან გააქცა და მთელი იმერეთი ადგა თავის მეფის დასაცველად, დავით თარხნიშვილი შეულოდა რუსის ჯარს იმერეთის დაზერობაში. მის სამსახურს გენერალი სიმონოვიჩი, რუსის ჯარის უფროსი იმერეთში, ასე ახასიათებს: Кн. Давидъ Тархановъ, какъ прежде еще до открытiя сей экспедици, по отличному его усердiю и вѣрности, былъ съ пользою употребляемъ по секретнымъ дѣламъ, относившимся до сего ца;я (Соломона), Кн. и въ продолженiи сей экспедици, особливо же при покоренiи крѣп. Мухури и, сверхъ оног... въ кутансѣ маiору Панкратьеву, оставленному для содержанiя порядка и тишины оказывалъ онъ (Кн. Д. Тархановъ) во мно ихъ нужныхъ случаяхъ ревностное служенiе, особливо же доставленiемъ вѣрныхъ свѣдений о скопищахъ Имеретинскихъ возмутителей.“ (Рапортъ Симоновича Тормасову 11 Апрелья 1810 г.—Акты, Арх. Ком., т. IV стр. 242).

იმავე 1810 წ. მკათათვეს დავით თარხნიშვილი შეკედის რუსის ჯარს სახხურეში, გდწ доставлялъ

Оному предовольствіе и надежныя мѣры въ безопасности, როგორც სწორია მის ფორმულარში.

იმერეთის საქმისათვის დავით თარხნიშვილს მისცეს სამი ჟალდო: მაიარის ჩინა, წმი. ვლადიმირის ჟვარი მეოთხე ხარისხისა და ერთი წლის ჟამაგირი კანძონის ჩინის სთაწად.

ასეთი იყო ის препорученности, რომელმაც შეჰქმნა დავით თარხნიშვილის კარიერა. რა თქმა უნდა, რომ ახლა მაგისტანსა სამსახურს ჩვენ დალტად ვთავლით. მაგრამ დიდი შეცდომა იქნება თუ მაშინდელნი კანონი და მათი საქმენი ჩვენის დროის აზრისა და გრძობის მიხედვით ვსაჯეთ.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველომ თავის ცხოვრებას გზაზედ იმ საქცევს მიადწია, სადაც უნდა გადაწვეტილიყო ძველის წესით ეცხოვრა ქვეყანას თუ ახლის. ძველი წესი იყო საქართველოს სამეფოს არსებობა მისი სუველიერის ბატონიანთ გვარის ხელმწიფით, ახალი წესი კი — რუსული მართვლობის შემოღება. ერთ მხარეს იყო სიძარტლე, მეორე მხარეს ძალა. და როცა სიძარტლე და ძალა ერთმანეთს შეეჯახებიან ეკლავან და ეოველთვის სიძარტლეს გამოეპარებებიან, ეგრედ წოდებულნი იდეალისტები, დონკიხოტები და უგურუბები; ძალას კი ემხრობა კარედ წოდებული ჭკვიანი, პრაქტიკული და კეთილგონიერი ხალხი. შველა შეგნებულმა კაცმა, მხნემა და თვალღამი, ვისაც სურს თავისი ბედი თვითონვე განავოს და სხვის ხელში საზელ თიხად არ გახდეს, აუცილებლად უნდა ირჩიოს ერთი რომელიმე მხარე, ან სიმართლეს მიუდგეს ან ძალას.

ისეთის ხასიათის და ჭკუის კაცი, როგორც იყო დავით თარხნიშვილი, უნდომულად უნდა მიმხვდარიყო, სითაც იქნებოდა გამარჯვება და მაშასადამე მოგება: — სიძარტლისა თუ ძალისაგან, და ისე მოქცეულიყო, როგორც მისი პრაქტიკული ჭკუე უჭრიდა და მისი სარგებლობა მოითხოვდა. არც დიდი გამჭრიახობა იყო საჭირო, რომ კაცს წინადვე დაეხასა, რომ ბატონიანების საქმე წაგებულა იყო. ამას უოველ დღე ამოწმებდა რუსის ჟარის გამარჯვება და რუსეთის მფლობელობის დღითი-დღე ზრდა. ამათმა წარმოუდგენელმა და უნახვამა ძლიერებამ, რომელმაც სძლია თვით უქალეული დეკი, ოსმალთა, და სპარსი, ჰინოსით მოიგვა ქართველის ვიწრო ჰორიზონტის გონება.

ერთი მაშინდელი პრაქტიკულის ჭკუის კაცი, მიშკარბაში იოსებ ბებუთაშვილი, რომელიც დავით თარხნიშვილსავით უწინ შეუუბეს ემსახურებოდა და მერე

რუსის მთავრობას, საუცხოოდ გვისახავს თუ რა წარმოდგენა ჰქონდათ მაშინდელ ქართველებს რუსეთის ძლიერებისა.

იოსებ მიშკარბაშია, რუსის მთავრობის ჩაკონებით, სწდილობდა დაეკოლებინა სპარსეთში გაქცეული ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოში დაბრუნებულიყო და რუსთ ხელმწიფის მოწყალეობას დახეებოდა, და ამაზე ჰქონდა ბატონიშვილთან მიწერ-მოწერა. ერთს წიტნში 1414 წ. იოსებ მიშკარბაში სწერს:

„ახლა ამისი მადლ-ადმატებულება (მთავარ მართებული რტიმჩევი) ერანის ხელწიფისაც შეურიგდა, რომ თალიში, დარუბანდი, ბაქო, შამახია, ნუხი, ყარაბაღი, განჯა, გოგჩამდის და შორაზნამდის იმთ ხელი მოუწერეს, რომ ამთ დარჩათ. აგრედვე ოსმალთ შერიგდნენ. ბონებორტე ისე განადეს, რომ საქსონიდანაც გაგდეს, სულ უათლანი უევეს. კეისარი, ჩვენი ხელმწიფე, ზრუსის კორილი, შვეეთის კოროლი, შამახია და ანგლია, ესენი გაერთებულნიან რიან და ბონაზბორტეს ებრძვიან. მერწმუნე, რომ აქროზამდის იმისი საქმეც გადაწვეტილი იქნება. ასეთი გამარჯვება მოუკიდა ჩვენს ხელმწიფეს, რომ ოცდა ჩვიდმეტი ათასი კაცი ცოცხალი დაუშორეს, ოცდა ორი იარანალი მოკვდა და ორი ფურთმაშლი. იფიქრე სსლდათი რა ერთი დაინოცებოდა. საქსონის ჟარი, რომელიც იმეოფებოდა ბონებორტესთან, ისინიც შოლკებით გამოვიდნენ და ჩვენს ხელმწიფეს იახლენ.“ (საქ. სიძვ. ტ. III. გვ. 119 — 120).

რა რეკვინი და სსსცილო უნდა ეოფილიყო ამისთანა ხელმწიფის მოწინააღმდეგე პრაქტიკულის ჭკუის კაცის თვალში! რა მოიგეს, ვინც ბატონიანთ გვარისათვის თავი გამოადგეს და მამულისათვის ირჯობდნენ? ციმიბრში გადაკარგეს, ემა და მამული წართვეს, სახლ-კარი აუოხრეს, ცოლ-შვილი გაუუბედურეს. ზირიქით, ვინც რუსთ ხელმწიფეს ემსახურა, მოკების მეტი არა ნახნარ: თანამდებობა მისცეს, ჟამაგირი, ჩინი ორდენები — ის სსწაუღთ მომქმედი ორდენები, რომელიც უკვლას ისე ხობლავდა — და შეიღებისაც უზრდიდნენ კორპუსებში მუქთად და აფიდრებად გამოჰქეხდათ. მოდი და ამისთანა მოწყალე ხელმწიფის კალთას ორივე ხელით ნუ მოკიადები.

მერე რიას ან ვის გულისათვის უნდა დაეპარება ჭკუათა-მყოფელს კაცს ამდენი სიკეთე? ძველის წესისათვის, რომელიც თვით უწყისობა და ძღმობრება იყო და რომელმაც ბოლო მოუღო სსმეფოს? ბატონიანების გულისათვის, რომელიც ალექსანდრე ბატონიანის მიხედვით გარდა, გინცნომით ჰგებდნენ რუსეთში და კეთილს

ცხადებს ისეთი სიხარულით დაქაფიან, რომ საქართველო აღარც კი ავანდებოდათ.

ალ. სარაჯიშვილი.

(შემდეგი აქნება).

გერმანელთა ახალ-შენი ბორჩხალოში

ლამე მოგვიხდა თბილისიდან ყარსის რკინის გზით გამგზავრება. ღამის პირველი საათი იქნებოდა, სადგურ სანდარში რომ ჩამოვედით.

წვიმდა, ქარი ჰქროდა და თანაც ბნელოდა; რასაკვირველია, ამისთანა დროს ვერას გავარჩევდით.

სანდარიდან დილიენით გავემგზავრეთ ეკატერინოფელადმის, ანუ, როგორც აქაურები ეძახიან, „კალონკამდის“.

ნათლდებოდა, როდესაც მდ. ხრამზედ გავედით. პატარა გავსციდით თუ არა, — შორს აღმოსავლეთისკენ გამოჩნდა დიდი მდინარე, სადაც ხრამს უერთდება მაშვეერი, ანუ, როგორც აქაურები იტყვიან, — მდ. ჭაპალა.

გათენდა. მიუახლოვდით „კალონკას“ ვენახებს. მიდინარით და ხედავთ მშვენივრად შემუშავებულ ვენახებს, თვალს ესიამოვნება მათი რიგზედ შემუშავებული ვახები, ხეხილი. დიღს მანძილზედაა გაქიმული ეს ვენახები.

შევალთ თუ არა „კალონკაში“, პირველადვე შეამჩნევთ „უნიონის“ ამხანაგობის ფირმას — კონიაკის გამოსახდელ ქარხანას.

„კალონკას“ ჩამოუდის მარცხნივ მდ. ჭაპალა (მაშვერი), დასახლებულია გერმანელებით, როგორც კავკასიის კალენდარი ამბობს: 2025 სული გერმანელი არის, 105 — სპარსელია, 125 — რუსი და 104 ქართველი.

მდ. ჭაპალას გაღმა, მარჯვნივ დიდ ადგილს გერმანელებს აქვთ შემოღობილი ახლად გათხრილი ახობები, ამ ფერდობებზედ აშენებენ ვენახებს. ხუთმეტრი ვერსის მანძილზედ კლდე ღრეზედ გასჭრეს გერმანელებმა სარწყავი არხი. ეს არხი იწყობა სოფ. ქვეშის გაღმა და უვლის „კალონკას“ პირდაპირ გაღმა ახლად შექმნილ თ-დ ორბელიანე-

ბისაგან მამულებს, სადაც ვენახებს აშენებენ რიგზედ.

ორი წელიწადია, რაც ეს არხი გასჭრეს, უცქერით და განცვიფრებაში მოდინართ, როგორცა სჩანს არაფერს ზოგვენ, ოღონდ მამული სარწყავად აქციონ.

„კალონსკის“ გერმანელებს აზრად აქვთ, როგორც აქაურმა შეეტლემ გვიამბო, გახვრიტონ აქაურის მთა და მდ. ხრამიდან გადმოუშვან სარწყავი რუ, რათა მამული სარწყავად აქციონ. გამომანგარიშებული აქვთ, რომ ნახევარი მილიონი დაუჯდებოთ ამ ახის გამოყვანა.

გერმანელების ბალ-ვენახებს ეკირებათ ათი ვერსი სიგძით და გაშენებულია მდ. ჭაპალის ორსავე მხარეს. თითონ დაბა კალონკა შესანიშნავია იმით, რომ სახლები ერთი-ერთმანეთისაგან არ განირჩევიან, დაყოფილია ქუჩებით, სახლები ორ სართულიანია, აივნები სამ მხრივ შემორტყმული აქვთ; ქვიტვირის შენობები, მაღალი სახურავები აქვთ და დახურულია კრამიტით; სახურავებში საზაფხულო სადგომებია.

საზოგადოთ ყველგან გერმანელების ახალშენებს უმფროსი კაცი ჰყავთ ამორჩეული, ე. ი. მამასახლისი და მისი სიტყვა ყველასათვის კანონია.

ქართლის მამასახლისების კანონი კი მათრახებია.

დილით, როდესაც ზარს დარეკვენ, გერმანელების სამუშაოდ გასაწვევად, ყველანი ერთ ამორჩეულ ადგილს იყრებიან და იქ მათი მამასახლისი უცხადებს: დღეს თქვენ, მაგალ., კართოფილი უნდა დათესოთ; შემდეგ, როდესაც პურის თესვის დროა, იგივე მამასახლისი უცხადებს: — დღეს პური უნდა დათესოთ, ან მოხნათ, ან ვენახები იმუშაოთ. ერთი სიტყვით ყველანი ერთ და იმავე დროს ერთ და იმავე სამუშაოს აკეთებენ.

ქალებსაც თავისი სამუშაო აქვთ, ბაღებში საბოსტნეებს თოხნიან და ან სხვა რამეს აკეთებენ. ერთი აღამიანი, ვისაც ხელის განძრევა შეუძლიან, ყველა სამუშაოზედ მიდის, თავის გაქნევა არ შეუძლიანთ.

მათ ბალ-ვენახებს საერთო ღობე აქვთ შემოვლებული, მხოლოდ ძველებით არის დაყოფილი, საქონლის გაშვება სასტიკად არის აკრძალული და, თუ ვისმე მოუხდა და საქონელი შეუვიდა სხვის მამულში, საქონლის პატრონი წანახდენს უხდის მამულის პატრონს, თუ ვენახში მოასწერეს — სამ მანეთს და თუ სათივეში ერთს მანეთს.

მათს ახლო სომხებსაც აქვთ მამული, როგორც ერთს სომეხს საქონელი გერმანელების ვენახში გადაჰპაროდა; დაიპირეს და როგორც დაწესებული იყო, სულხედ სამი მანეთი გადაახდევინეს.

შემდეგ იმავე სომეხმა თავის მამულში გერმანელების ცხენებს მოასწრო, დაიპირა და დაამწყვდია. ცხენების პატრონი ავიდა დასახსნელად. სომეხმა უთხრა:

— აი, შენი ცხენები წაიყვანე და კი არაფერს გადაგახდევინებ, ჩვენ ქრისტიანები ვართ და ეგრე სასტიკად არ მოგექცევი, როგორც თქვენ მომექცით.

— როგორ, უპასუხებს გერმანელი, — ჩემს გადებულ ხილზედ შენ კი არ უნდა გაიარო? ცხენებს წაასხავს და დაწესებულ გადასახადს გადაიხდის.

აი ასეთი წესებია გერმანელების ახალშენებში და ჩვენ ქართლის სოფლებს კი ვერა ეშველარა, საქონლის გაშვებით ერთი-ერთმანეთს ახდენენ. და ვინც ჩვენს სოფელს კარგათ იცნობს, დამერწმუნება, რომ ჩვენ სოფლებში სრული დემორალიზაციაა ყოველ მხრივ.

ყოველ გერმანელ ოჯახში უსათუოდ ნახავთ რუსეთის მეფე-დედოფლის სურათებს და გერმანიიდან გამოწერილ ჟურნალ-გაზეთებს, იშვიათად ნახავთ რუსულად მოლაპარაკეს.

ერთობ ახალშენების გერმანელები მსმელი ხალხი არ არის. ერთი-ერთმანეთში არა აქვთ ხშირი მსვლელობა, იშვიათად თუ მივლენ და ისიც მახლობელის ქორწილში.

და თუ ვინმე დაზარალდა, ან ეკონომიურად დაეცა, ერთობ ყველანი ეწევიან დაგრდომილ ოჯახს: ფქვილით, სათესლე პური, საქონლით, თუ

სამუშაო იარაღით და ოჯახს ისევ ფეხზე წამოაყენებენ.

აი, ამის გამო ახალშენებში კაცი სიღარიბეს ვერ შეამჩნევს.

საზოგადოთ ახალშენების გერმანელები მიუკარებელნი არიან, ე. ი., სხვა ერს თავიანთ კულტურულ ცხოვრებაში არ ჩაახედვენ საზოგადოებრივი დამოკიდებულება არა აქვთ სხვა ერებთან, მეტად ეგოისტი ხალხია და სხვა ერებს ზეიდან დასცქერიან და დამკინავის კილოთი ელაპარაკებიან.

ესაა მიზეზი, რომ მათი კულტურა ისე ჩქარა ვერ მოედო მეზობელ სოფლებში, თუმცა ამ ბოლო დროს თათრების, სომხების თუ ქართველების სოფლებში თანდათან მცხოვრებნი მიწიდან ამოძვრალან და შიგადაშიგ გერმანელებსავით სახლები აუშენებიათ, აგრეთვე სოფ. ქვეშელებსაც მათსავით ვენახებიც გაუშენებიათ.

ყოველ ახალშენში გერმანელები, მილიონი რომ მისცენ, სხვა ერის თესლს არ ჩაასახლებენ.

სამუშაო დასაწყისი დრო იყო, როდესაც „კალონკის“ ერთ დუქანში ჩამოავხტი. თბილისიდან „კალონკამდის“ ნკ ვერსი იქნება. შევისვენეთ, ჩაი მოვითხოვეთ. თვალს ვადევნებთ შემსვლელ-გამსვლელს.

გერმანელები შემოდოდნენ, თითო ქიქა არაყს გადაჰკარავდნენ, თა თითო ლუკმა პურს მიაყოლებდნენ და სამუშაოსაკენ გასწევდნენ.

ზოგიერთნი რუსებიც ერივნენ, მათ მაშინვე ყველა შეამჩნევდა, უსათუოდ გერმანელზედ მეტს გადაჰკარავდნენ, მეტს დროს ანდომებდნენ სმას და გაჟღენთილნი უნდა გასულიყვნენ დუქნიდან.

Lagatus

აღსასრული

(არჩილ ჯორჯაძის ტკბილ ხსოვნას)

* * *

ეჰა, ახდა! ცის მნათს მოსწყდა დიადემის ცელქი სხივი,
ხელთ უქნარი ნარნარება, ვით სუმბულის ყელის მძივი,
კამ დაჰკარგა ელვარება, კამ გაალო ნისლის კარი,
კისკროვნების ნაფერფლარზე ჩამოიკრა გლოვის ზარი.
უკანასკნელ ფრთის შემოკვრით დრომ გასტყორცნა გრძელი ჩრდილი,
დღეამიწა გულს ჩაიკრა, ვითა პირმშო, სათნო შვილი,

აქვითინდა არე მარე, მას შორ მთებმა მოსცეს ბანი,
 უცნობ ღმერთთა ცეცხლმა დასწვა საუკუნო ოცნებანი;
 ისმის გლოვა, ღრიანცელი, ვით ორკესტრი შესაზარი,
 ცეცხლის თოვლსა გადაუწვავს თვით წმინდანთ თავ-შესაფარი.
 მკვდართა ბნელი სასაფლაოც გაქიმულა შავი ველით,
 სივრცის უბე ამოვსილა ყოფილ არსთა მიმქრალ მტვერით,
 ოჰ, სადღა ხარ ნარნარებავ, სითბოვ დიად მნათობისა?
 ოჰ, სად გაჰქერ, ბნელს რომ ესმის შენებრ ჩენი გათბობისა?
 ვინ აღადგენს საკურთხეველს, ცეცხლს ვინ მისცემს დედამიწას?
 ვინ შეჰმოსავს ელვარებით დღეს ფერმიხდილ მორთოლვარე ცას?
 ვინღა მოგვეცეს ცრემლთა ნამი სევდის ღრუბლის წარსაშლილად,
 ცრემლი მწველი, ეს ცის ცვარი, ხსოვნის კუკურთ გასაშლელად?
 მაგრამ რაა, ეჰა, წარბდა! ბნელს გაეღო ნისლის კარი,
 ცისკროვნების ნაფერფლარზე ჩამოიკრა გლოვის ზარი;
 ამაოა ეხლა კენესა, ამაოა სიტყვა კრული,
 ეს დღე არის საბოლოო, ეს თვით არის აღსასრული!

* *

ოქროს ხერელი თალხს იმოსავს მიმონგრეულ ტაძრის გარსა,
 ცრემლთა თრთვილი სახეს უზრობს ნიმქრალ შუქურს, ცისკრის ვარდსა.
 თვით ჰოსანა გარდაქმნილა წყველა-კრულების ლიტანიად,
 სიკვდილს მიწა შეუბყრია, გულზედ იკრავს მიმქრალ იად.
 ცის კიდვზე მოჰქრის ქარი, ანადგურებს ყველა არსსა,
 რღვევის უფსკრულს გადასტყორცნის და კვლავ შმაგად აგრძობს გზასა.
 ჰქრება ლტოლვა, სასოება საოცნებო ფიქრთა ნავი,
 ძაძა მოსხულ სარეცელზე უხმოდ გდია გულ-მგმინავი.
 ახლოს მოდით თქვენ, ქურუმნო, და იხილეთ თქვენი ძრწოლა,
 ძირს დაემხეთ თქვენც, ძლიერნო, ისმინევით ქართა ქროლა!
 თქვენც, ვინც პირველ ჭექის რისხვამ შეგაკრთოთ და შეგადრწოლოთ,
 თქვენც, ვინც პირველ მაცდურ კოცნამ ნეტარებით ცაში გტყორცნათ,
 ძირს დაემხეთ, იძლიენით! ნულარ ელით ანგელოზთ გუნდს!
 ამაოა ღალადისი, ამაოა თქვენი ლოცვა,
 მკვდარ ღმერთების ოწოდება, მათი ფერფლის ცრემლით კოცნა!
 მარადიულ სარბიელზე ყველა მიჰქრის, ერთობ ჰქრება,
 ამაოთა მშრალს დაფაზე უცნობ ხელით ეწერება.
 ერთგვარ ჰფასობს სათნოება, მზაკრობა თუ მონანება,
 ისტორიულ დროთ აღრევა, სიმრუმე თუ მოწყალეება,
 უმამობა ქალწულების, უმამობა სიმართლისა,
 მოქვითინე კათედრიდან ჰიმნი, ვით ხმა სამარისა,
 მაშვრალ ტუჩთა მუდარება, მაშვრალ ტუჩთა წყლის წყურვილი,
 შიმშილობა, ლხინ-მეჯღ სი, უგნურების სიხარული,
 იქ გოლგოთა ამართული, აქ გოდება, კენესა მძიმე,
 ჩირაღდნობა, განვაშობა, დამთვრალ ღმერთთა ვნების მღვიმე,—
 ეჰა, მიჰქრის, მიჰქრის ქვესკნელს, ბნელს ეღება ნისლის კარი,
 ცისკროვნების ნაფერფლარზე მოგუგუნებს გლოვის ზარი,

ამაოა ეხლა ლოცვა, წყევლის ზეწრით გადაკრული,
ეს დღე არის საბოლოო, ეს თვით არის აღსასრული!

*
* *

მარქვი, მიწავ, რატომ იწვი, რად აიღვი ნელ-ნელ ფეხი,
რად ამცენდი, რად გკიროდა წალკოტობა თუ ცის მეხი,
თუ კი ბოლოს გარდიქმნოდი უსახელო არსის ჩრდილად,
უსახელო ოცნებათა შავბნელ ღროის შავბნელ დილად?
სადა არის აზრი წმინდა, მისწრაფებათ მოწმე ვინმე?
მღუმარებას ჩაუნთქიხარ, ვით ქაოსის შავი რიდე.

ეჰა, მხოლოდ ცელქ შემთხვევას მოუცია შენტვის აზრი,
მაგრამ იმავ ცელქ შემთხვევამ ჩამოგვიკრა გლოვის ზარი,
დასამარდა შენი რწმენა, დაიფურცლა შენ ბრძენთ წიგნი,
მარადიულ არსებობის სათავდებო წმიდა წილნი;

ათას წლობით შენ გსწავლობდნენ, შენს სახების აღბეჭდვას-
სიზმრის სახით განვლილ ხანში ცრემლს გაშრობდნენ სვე ბედ-შავსა;
ვერ გიშველის თვით უბიწო შენს საკიას რწმენა დიდი,
ვერც თუ ბუღდა, ანუ ქრისტე, ვის ჯვარს მუდამ მხსნელად სთვლიდი,
ჰეგელისა მკვირცხლი სული, კანტ-ლაპლასის ცეცხლის ალი,
ვერც ღმერთების დამამხოველ ამირანის ბასრი ხმალი!

არისტოტელს ნთქავს უკუნი, პლატონს სივრცე ქარად იტანს,
მიმოზნეულს მის იდეებს ეწოდების დღეს *vanitas!*

სდუმს ფიდიოს, პრაქსიტელი ხელთ ვერ იღებს საკვეთელსა,
შმაგი ქარი მარმარილოს შორს გაუბნევს ვით მქრალ მტვერსა,
ჰქრება ქალწულ სიტურფიდან ამოქრილი ქორფა ვარდი,
ნაზ ღიმილის ჩრდილის თოვლი, უმანკო გულს დანაბარდნი,
აფროდიტეც ქაფად ქმნილი უტურდება კვლავ ტალღებსა,
აღარა ვქვრეთ საზღაპრო ნაშთს, ვით სიტურფით მონატეხსა;

ლეონარდოს თან მიჰყვება მონა ღიზას სიყვარული,
რაფაელსა თვის მადონა, ანჯელოს კი—სინანული;

მზის მწუნები თინათინიც, ეჰა, ვეღარ თინათინებს,

ცისკროვნება ჩამოფერფლილს შოთა მოთქმით დაჰქვითინებს;

ჯოჯოხეთის კერის ბქესთან დანტეც ობლად ზის და ჰგოდებს,
შავბნელ-ზეწარს მოფარებულს ბეატრიჩეს ვეღარ ჰპოვებს,
ჰამლეტს ძაძა მოუხსნია, ფაუსტს აწვდის მთოლვარე ხელს,
ოფელია მქენარ ვარდს უფენს მარგალიტას სათნო სახელს;

იღწეება კორსიკელი შმაგ არწივის რკინის ბრქვალი,
ჰანბალის მამაცობა, ალექსანდრეს რისხვის ხმალი;

ერთი არის ახერონი, მოჰქუხს, მოჰქუხს მისი ზვირთი,
ამაოთა სარბიელზე მოაქვს ქვეყნის მძიმე ტვირთი!

ნადგურდება ცის სიწმინდე იფერფლება სასაფლაოდ,

ღროჲ ყოველი წამოჰკრიბა თვის ფურცელთა საარაკოდ,

ვინდა იტყვის, თუ სუფევდა აქ ოდესმე არსთა ჩრდილი,

ვინ გადასცემს საუკუნეს, რომ აქ რბოდა ზღაპრის შვილი,

მას აღამსა უწოდებდნენ, იყო ჭია, იქმნა კატად,

კაცი, მონა მონობისა, ჯაჰეს ამსხვრევედა მუდამ მკაცრად,

და აჰა, როს გადაშალა თვის სისრულის ფურცელთ გვერდი,

ყოფნას მისცა თითქოს აზრი, ცად გაფრინდა ვითა გედი,
 უცბად ჩაჰქრა, ცის ტატნობზე მზეს მყის მოსწყდა ცისკრის სხივი,
 ხელთ უქნარი ნარნარება, ვით დილის ცვრად შვების ჰამნი,
 ცამ დაჰკარგა ელვარება, ძრწის და შფოთავს ყოვლი სული,
 ეს დღე არის საბოლოო, ეს თვით არის აღსასრული!

* * *

ეჰა, ქვეყნის საიდუმლოვ. ვინ მიგიხვდეს, ვინ ხარ, რა მხრით?
 ვინ წარმოგში ჩვენდა ტანჯვად, რა მიზნითა, ან რა სახით?
 რად ხარ ავრე უსახელო, გამტერებულ თვალთა ისრით?
 რად გვაძრწოლებ მაგ სიმუნჯის იღუმალი ცეცხლის რისხვით?
 რა მიზანი დაგისახავს, რომ გვამგზავსებ უგნურ ბრბოსა,
 გვათამაშებ ტანჯვის ქედზე და გვაბარებ შავბნელ დროსა?
 მარქვი, ცრემლთა მდინარისა იქით არის შვების ბინა,
 სად ნირვანას სამოსელ ქვეშ ჩვენ ოცნებამ მიიბინა?
 მარქვი, სივრცის გარდაღმა მხარს ვბოვებთ კვლად რწმენის ტაძარს,
 ჩვენს გულის ქნარს, იდეალის წითელ ღვინოს, ფიქრთა ნავარდს?
 მარქვი, ფსალმუნს ოცნების სულს გამოსტაცებ ვით ედემსა,
 კვლავ დაუმსხვრევ ორ არსთ მხარში შესასვლელად შავბნელ გემსა?
 ოჰ, მძრწოლავო შეუეცნებავ, სად არს შენი მღვიმის კარი,
 უიალქნო ოცნებასა ჩაჰფერფლია ცისკრის დარი!
 ოჰ, ვით იქმნა გამტვერებულ შენ ლტოლვათა მზის ვალათე,
 შმაგად მკვინელ გონებისა ცეცხლის ლულით ვინ გაათბე!
 აღმოიფხარ რაც რომ გწამდა, აღმოიფხარ სამუდამოდ!
 არ არსთ მხარეს ნუ გაიხდი და ნაიდათ სამუდაროდ!
 გაჰქრა ყოვლი, ფიქრთა თხემზედ სასოების ყლორტი გაჰხმა,
 მოკვდა ფიხტე, ლეიბნიცი, ვით სპინოზა ანუ ბრამმა;
 მათი ქმნილი, გარდაქმნილი, მკვირცხლ გონების მზის სამეფო
 დრო ჯალათმა ჩამოახჩო, მის ფერხთა წინ მყის დაემხო,
 ახალ აზრთა სიკეკლუცე, საცისკროვნო ოცნებანი
 წაიშალა და მათს ფერფლსა დაჰქვეითინებს შორს ებანი:
 არსი ნიშნავს არ არსობას, საეხობა—უსახობას,
 სიკეკლუცე—წამონგრევას, შავს ღრუბლებში ცურაობას,
 სასაცილო სუბსტანცია, პლამზა, უჯრა თუ მონადა.
 უმომავლო მყობადის მტვერს უხედებიან ბრმა მონადა,
 იწვის სერზე კოკონსავით ძველი საღმრთო ილიონი,
 კეთროვანი ლიბანის მთაც, სინას მთა, ვით თვით სიონი,
 იფერფლება ჰარმონიის ნაკადულში ვერცხლის ზვირთი,
 ხელთ უქნარი ნარნარება, ვით სოსანის ნორჩი კვირტი,
 ღწერთი, კაცი, მიწა, ზეცა სივრცის უბეს იქმნა კრული,
 ეს დღე არის საბოლოო, ეს თვით არის აღსასრული!

* * *

ეჰა, წარხდა! ცის მნათს მოსტყდა მოელვარე ისრის წვერი,
 ხელთუქნარი ნარნარება, ვით ნორჩ ვარდის ფურცელთ მტვერი,
 ცა ჰაოსში გაეხვია, ნისლს გაულო ბნელი კარი,

ცისკროვნების ნაფერფლარზე ჩამოიკრა გლოვის ხარი.
 განსვენებულ დედამიწას ფრთებ ქვეშ იხვევს დროთა ჩრდილი,
 უცნობ ღმერთებს გაუყინავთ მეოცნებე ადამთ შვილი,
 თვით ჰოსანას ლიტანია გარდაქნილა წყევლის ჰიმნად,
 სივრცის უბე გადაშლილა ყოფილ არსთა უძრავ ბინად.
 დასამარდა აზრი წმინდა, ბუმბერაზი უგზურება,
 ისტერიულ დროთ აღრევა, სიმხეშე თუ მწუხარება,
 უმამობა სიმართლისა, უმამობა ქალწულების,
 იქ გოლგოთა ამართული, აქ გოდება მქრალ სულების,
 გაჰქრა ომი, ბრძოლა ღმერთთა, კაც-ღმერთების, ღმერთ-კაცების,
 ჰიმნი გმირთა, ჰიმნი მტირალთ, ჰიმნი კეკლუც აღტაცების!
 ცად გაიბნა დემონთ გუნდი, ანუ დევას საღმრთო ქედნი,
 ჰინდუსის მოგვთ ჯადოსნობა, წმინდა სულთა თეთრი მტრედნი!
 ეჰა, წარხდა, მორცხვი ბორცვი ქალაკი თუ ტურფა მდელიო
 უფსკრულებას ჩაუნთქა, დღე დამდგარა საგანგებო!
 თვით შემოქმედ ცნობადის ცეცხლს ზენიტს უტეხს ქართა რული,
 ეს დღე არის საბოლოო, ეს თვით არის აღსასრული!

დ. კასრაძე.

ბრაუსელი.

ზ რ ე ს ა

„აზრის“ მოაზრე პ. გელიშვილი ასე ლაპარაკობს:

„ოცდაათი წელიწადია, რაც მე ჩემი საკუთარი ფეხებით დავიარები, რაც ჩემი საკუთარის თავითა ვსცხოვრობ და მაშ ყოველ ჩემს მოქმედებაში პასუხი უნდა ვაგო.“

ქართველ საზოგადოებაზედ კი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქო პი წელიწადი საკუთარის თავით დავიარებოდეს და საკუთარი ფეხებითა სცხოვრობდეს.

„მთელ ამ დროს განმავლობაში, ჩემდა სამწუხაროდ. ისეთი არაფერი გამიკეთებია, რისთვისაც შთამომავლობის მადლობა მოვითხოვო...“

თქვენ არ ითხოვთ, მაგრამ მადლიერთ შთამომავლობა მაინც დამპალ კიტრების და ლაყე კვერცხების მატურს გიმზადებთ.

„ჩვენ პურიშვევიჩებთან აბა რა შესადარებელი ვარ და ჩემს არარაობას ადვილად შევუბრუნებდი, მაგრამ ერთი რამ დამრჩენია სანუგეშოთ. ბ. შალვა ამირეჯიბის თქმისა არ იყოს, ქიანქველას მეხი ვერ დაეცემა და თუ ქართ-

ველ პურიშვევიჩების ყველა მებ-მტყორცნი ისრები ჩემზე მოდიან, ეტყობა, არც ისე პატარა და უმნიშვნელო ვყოფილვარ, როგორც ეს მათ სურთ დამაჯერონ.

თუ მე „ქია“ ვარ, რატომ შეინძრა მთელი პარნასი „მამულიშვილთა“, რატომ დამიშინეს მთელი თავისი ყუმბარები და თუ დამიშინეს, რატომ ვერ გამსრისეს?“

საწყალი გეროსტრატე! ოცდაათ წელიწადს ვერაფრით დამისახურა მადლობა და ეხლა კი მთელი ქვეყანა ალაპარაკა და მის ყურს ეს ლანძვართევა „სიმფონიად“ მოესმის. ოღონდაც საწყალო! არც ისეთი პატარა ხარ, რომ ვისიმე გალანძვავ ვერ მოახერხო და არც ისეთი დიდი ნამუსის პატრონი ყოფილხარ, რომ შენმა სინიღისმა გამხილოს და გაგსრისოს. შენ კიდევ გიხარიათ:

„ეს მათი სასოწარკვეთილი, უიმედო ჩხავილსისინი საუკეთესო სიმფონიაა ჩემთვის. სწორედ ამაში ვპოვებ მე ჩემი ცხოვრების საგანს. მათი სიმშვიდე და კმაყოფილება კი სასოწარკვეთილებაში მაგდებს; ჩემს ოცნებებს ფრთებს აკვეცს; სიცოცხლეს მიშხამავს.“

აი ჩემი აღსარება!

მაშ იჩხავლეთ, ისისინეთ!

პეტრე გელიშვილი.

თანამედროვე გეროსტრატე: ЗНАТЬ ОНА СИЛЬ-
НА, ЧТО ЛАСТЬ НА СЛОНА.

„სახალხო გაზეთში“ ეს ერთი ხანია იბეჭდება
ბ-ნ გერონტი ქიქოძის წერილები, საცა იგი ეცემა
იმავე საკითხს, როგორც რამდენიმე წერილი უძ-
ღენა ჩვენმა ჟურნალმა, სახელდობრ იმხანინის
ბროშურას და მკაცრის ირონიით ანიავებს ცრუ-
მეცნიერის ლათაიებს, მაგრამ იმავე დროს ფრიად
არაჩვეულებრივს აზრებს გამოსთქვამს „სახალხო გა-
ზეთისათვის“, ამ ცრუ-სოციალისტურ მიმართულე-
ბის ორგანოსათვის.

„ერთი დიდი ნაწილი ქართველი ინტელი-
გენციისა, კლასობრივს და კოსმოპოლიტურს
ნიადაგზე რომ სდგას, უკანდაუხედავად ებრ-
ძვის თავად-აზნაურობას. თავის ერთს უახლო-
ბელეს მიზანს ის წოდებრივი არისტოკრატის
მოსპობაში ჰხედავს. იმ მეორე ნაწილისთვის
კი, რომელიც ნაციონალურ ნიადაგზე სდგას,
ეროვნება წარმოადგენს ორგანიულს ერთე-
ულს და არა მხოლოდ საზოგადოებრივ კლას-
თა კონგლომერატს. თავად-აზნაურობას ის
სოციალური ორგანიზმის ცოცხალ ელემენტად
სთვლის. ის სცნობს რომ ეს წოდება დაკავ-
შირებულია მთელი ერის ისტორიულს წარ-
სულთან, რომ ის მის თანამედროვე კულტუ-
რასეც მნიშვნელოვანს გავლენას ახდენს. რა-
საკვირველია, ის ებრძვის თავად-აზნაურობას,
რამდენადაც ამ უკანასკნელის ინტერესები
ეწინააღმდეგება მთელი ერის ინტერესებს. მაგ-
რამ ამასთანავე ის ხედავს, რომ ეროვნული
ცხოვრების შინაარსი არ განისაზღვრების ეკო-
ნომიურ ინტერესთა წინააღმდეგობით. ეროვნ-
ება კულტურული ოჯახია სულიერ ნათესაო-
ბაზე დაფუძნებული. ამიტომ ქართველი ინტე-
ლიგენცია ჰკმობს თავად-აზნაურობის ყოფა-
ქცევას, როცა ეს უკანასკნელი ეგოისტური
მოსაზრებით გატაცებული, გლენობას ეკონო-
მიურად ავიწროებს ან კიდევ თავის მამულებს
უცხოელებზე ჰყიდის; მაგრამ ის ადასტურებს
მის საქციელს, როცა ეს წოდება ქართულს
სკოლასა, ბანკს, თეატრს ან სხვა რაიმე კულ-
ტურულს დაწესებულებას უწინამძღვრებს.“

ჩვენ არ ვიცით, ვის გულისხმობს ამ ბ.ქიქოძე „მეორე
ნაწილის“ ინტელიგენციაში, მაგრამ ჩვენი მომაკვდი-
ნებელი დანაშაული სწორედ იმაში აღმოაჩინა „სა-
ხალხო გაზეთმა“, რომ ჩვენ სიტყვა-სიტყვით ვსწერ-

დით იმასვე, რასაც ეხლა გერონტი ქიქოძე სწერს.
მხოლოდ ჩვენ ამისათვის ზუბრები და თავ-აზნაუ-
რობის იდეოლოგიები გამოვედით და „სახალხო გა-
ზეთს“ უთუოდ ესეც სოციალისტურ მოძღვრებად
ჩამოერთმევა. ჩვენ გვჯერა გერონტი ქიქოძის გულ-
წრფელობა, მაგრამ ამისათვის „სახალხო გაზე-
თის“ ორკოფული ფურცლები, ვერაფერი გასაქა-
ნია.

ამასწინად „ახალ კლუბში“ მომხდარმა საზიზ-
ღრობამ სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია
მთელს ქართველ საზოგადოებაში და ერთხელ კი-
დევე დაგვანახვა, რომ უმაღლესი არისტოკრატის
სულისკვეთებანი უახლოვდებიან საზოგადოების ნა-
ძირალთა ინსტინქტებს. აი რასა სწერს სხვათაშო-
რის, „თეატრი და ხელოვნება“.

„რა სახელი შეიძლება ვუწოდოთ, თუ არა
ზნეობრივი კოტრობა იმ, უკაცრაული პასუ-
ხია, „საოჯახო საღამოს“ (მეორე ნაწილს),
რომელიც ნ მათს „ახალმა კლუბმა“ გამართა
ქართულ თეატრში!..

უინის აღმძვრელი ცეკვა—ლოშნა-ხევენა,
სქესიურ ვნებათა გამაღიძინებელი ტორლია-
ლი, გაშიშვლებული უსირცხვილობა, უტიფ-
რობა, კურტუზისა, ბარძაყებისა და სახის
უხამსი მიმოხვრა, ნუ თუ ხელოვნება ჰგონი-
ათ და შესაწყნარებელია?!

ასეთი ზნეობრივი ლოთობანობა, თავახსნი-
ლობა, ნუთუ ცოტად თუ ბევრად თავმოყვარე
და თავის ღარსების ფასმდებ საზოგადოებას
შეშვენის?!

რას შვრებით, ბატონებო, საით მისდინართ?
ნუთუ ცოლი, შვილი, და, დედა არ გებრა-
ლებათ და მათს სათუთ გრძნობას ანგარიშს
აღარ უწევთ?!

რატომ არ მოიგონებთ, რომ ხშირად ზნე-
ობრივ სისპეტაკეზე ჰღალადებთ და იმავე
დროს კი... სცენიდან რას გვიჩვენებთ?!

იქნება სთქვამთ, ცხოვრების ანარეკლი გიჩ-
ვენეთო! სტყუთ;—ჩვენი ცხოვრება ჯერ აგ-
რე არ შეცვლილა...“

ჩვენცა გვჯერა, რომ ჩვენი ცხოვრება ჯერ
ამგვარად არ შეცვლილა და მოიძებნება ჯერ კიდევ
ისეთი ძალა, რომელიც ასეთს უსირცხვილობას
აღაგმავს და კრიქას აუკრავს.

მე არ მიკვირს...

ქართულ თეატრის სცენაზედ ქართველმა ქალებმა სირცხვილი გვაქამეს. ჟურნალმა „თეატრმა და ცხოვრებამ“ მკაცრი და მრისხანე წერილი უძღვნა ახალ კლუბის იმ ვულგარულ „საოჯახო საღამოს“, სადაც მოწინავე წრის ახალგაზრდა ქალებმა გაშიშვლ-გატიტვლებულთ ცინიკური სეკვიით და ქცევით შეურაცხვეს ქართული თეატრი, ქართველი საზოგადოება და ქართველი ქალის პატიოსნება.

დღევანდელ ჩვენს მრავალ იარებს ეს და აკლდა...

თქვენ წარმოიდგინეთ, — ქვეყანა იწვის, მოწინავე ხალხი ერისა საბრძოლველად ემზადება და ქართველ ოჯახების ქალები ქართულ თეატრში ტანგოს და კანკანსა სეკვავენ!?

მაგრამ ეს კიდევ ნახევარი უბედურებაა. წარმოიდგინეთ ქართული თეატრის დარბაზი გაქედილი ახალგაზრდობით და მათი აღტაცებული ტანის გრიალი!?

გრიალი ამდგარ ქარიშხალისა ბნელ და დაბურულ ტყეში, სადაც ქართველ ახალთაობას თავი მოუყარა დღევანდელმა ქართულმა პოეზია-ლიტერატურამ:

„ბარძაყთა რხევა“

„მკერდთა ხვევა“

„კურტუმთა ქნევა“

„თვალების ბნევა“

„წამო ტყეში ბარაშკაჯან!“

აი, შინაარსი თანამედროვე ქართულ ახალგაზრდათა პოეზიისა.

ქართულ „ავტორიტეტულ“ კრიტიკას რომ შეეკითხოთ, ერთხმად და მოკლედ გიპასუხებენ.

საუცხოვოა ეს რხევა,

შესანიშნავია ეს ხვევა,

ლამაზია ეს ქნევა,

ბუნებრივია ეს ბნევა,

წადით ტყეში... წადით ტყეში, ბარაშკებო!

და მიდიან, მიდიან... ქართველი ახალგაზრდები — ქალები, ვაჟები...

როდესაც რუსეთში „სანინი“ დაიბადა, მას მრავლად მოჰყენენ „სანიისტები“, „სიყვარულის ლიგები“, „წითელი ოთახები“.

ქართულ პოეზიის რხევას და ქნევას და ქართველ კრიტიკოსთა ბნევას - მოჰყენენ ის „საოჯახო საღამოები“, სადაც მიერეკება ჩვენი უძღლური ქართველი საზოგადოება...

მიერეკება იმ დაბურულ და ბნელით მოცულ ტყეში, საიდანაც გამოსვლა მეტად ძნელია. მიერეკება და თან მიჰყავს ჩვენი ახალგაზრდა თაობაც.

მერე ვის მისდევს?

უიდეო დღევანდელ ქართულ პოეზია-ლიტერატურას და უნიჰო და დაბრმავებულ ლიტერატურულ კრიტიკას.

ამიტომ მე არ მიკვირს ის, რაც მოხდა ქართულ თეატრში ამ ერთი კვირის წინად.

მე არც ვკიცხავ იმ საბრალო ახალგაზრდა ქალებს, რომელთაც არ ესმოდათ რას სჩადიოდნენ...

შესაბრალებელნი არიან.

მე ვკიცხავ ხმამალა იმ ახალ ლიტერატურულ მოძღვრებას და მის დამქაშს მოლაქიე ლიტერატურულ კრიტიკას, რომელმაც დღევანდელი ქართველი ქალი გაატიტვლა, ტიტველი გამოიყვანა ოჯახში, სცენაზედ და უეჭველია ხვალ ასევე გამოიყვანს ქუჩაზედაც.

ეკალი.

(ე. ვ. რ. მ.)

შენიშვნა შენიშვნაზე

„ჩვენი ერის“ 42 ნომერში მოთავსებული მოკლე შენიშვნა დავ. კარბელაშვილისა სიმონ ქვარიანის გამოკვლევას: „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“. ბ. კარბელაშვილი აცხადებს, რომ იგი ისტორიკოსი არ არის და ამ წიგნაკის ისტორიულ მხარეს არ შევხებიო, მაგრამ მიუხედავად ამ დაპირებისა, — იგი სწორედ ამ ისტორიას უწუნებს ბ. ქვარიანს. ჩვენ რა თქმა უნდა სრულიად არა გვაქვს სურვილი ქვარიანის დაცვისა და თუ ეს საქიროა, უთუოდ თითონაც მოახერხებს; არც თუ სრულიად უსაფუძვლოდ ბ. კარბელაშვილის შენიშვნები მიგვაჩნია, მაგრამ ეს შენიშვნა წარმოგვაცდენია იმან, რომ თითონაც ბევრს სცდება ზოგ რამეში და რიხი კი ძალიან დიდი აქვს. მართალია, განდიდება, „გაბერვა“, როგორც კარბელაშვილი ამბობს არც საქიროა და არც სასურველი.

მართალია ისიც, რომ ბ. ქვარიანმა იცის მაღალ ჰანგებით წერა, მაგრამ ეს შეუძლებელია ერ-

თიანად ნაკლად ჩავუთვალეთ. მართალია, მეცნიერს, მეცნიერულს გამოკვლევას უფრო დადინჯებული და ვნებად მოკლებული სტილი შეჰფერის, მაგრამ უსამართლობა იქნება, მით უმეტეს ბ. კარბელაშვილმა დაუწუნოს ან ენის სიმახვილე ან სიმსუბუქე და ვნებიანი, მღელვარე ტემპერამენტიანი, თუ აგრე ითქმის ქედლი სტილი. მართალია ჰიპერბოლიზმი სჩვევია ბ. ქვარიანს, როგორც საერთოდ სამხრეთის შვილს, მაგრამ ეს თითქმის თეატრალური წერის მანერა მხოლოდ „გაბერვად იმას მოჰყვება, ვინც მართლა ზერელედ იცნობს სწორედ იმ საგანს, რომელსაც ბ. ქვარიანი ეხება.

მართალია... ბევრი მართალია ბ. კარბელაშვილის შენიშვნაში, მაგრამ უმაგრობა კი არცერთი. დიად, მართალია არც გაბერვა ვარგა, მაგრამ რა ექნათ, რომ ბევრი რამ, რაც გაბერვად მიიჩნია კარბელაშვილს, სწორედ ის წარსულია, „რომელიც რელიზური ჩარჩოებში თავსდება“. (რ. მისი წერილი).

თქვენა ბრძანებთ: მთელი მცირე აზია ქართველებს არა სჭერიათო. ნუ თუ თქვენა გგონიათ, რომ ბ. ქვარიანი გუშინდელ საქართველოზე ლაპარაკობს?! არა მგონია. მას შემდეგ, რაც ქართველობა კავკასიის საზღვრებში მოთავსდა, რასაკვირველია მას მცირე აზია არც მთლად ეჭირა და არც ნაწილი, ასე რომ ცხადია ქვარიანი ამ ძველ დროებს იქით იტყობდა. მართალია ქართველების ბინადრობის დანაშვილებით განსაზღვრა არა თუ ქრისტეს შობამდე, თვით მე-VIII, მე-IX საუკუნემდე სახიფათოა, მაგრამ ბ. კარბელაშვილს, რომ ბ. ქვარიანის „საქართველოს ისტორიის“ გარდა სხვებიც წაეკითხა და გასცნობოდა საკითხს, ასე რიხით არ მიიხლოდა: ქართველებს მთელი მცირე აზია არასოდეს არა სჭერიათო; არც ქართველთა უძველეს კულტურას დასცინებდა, არც მათ ძლიერებას, არც მათ „მეტალურგიასა“ და სხ.

დაახლოებით მაინც რომ სცნობოდა ბ. კარბელაშვილს ამ უკანასკნელ დროების მეცნიერულნი გამოკვლევანი არა თუ უცხოელ მეცნიერთა, არაუდ (არც ეს იქნება ცოტა, ჩვენისთანა უბრალო მოკვდავთათვის, ბ. კარბელაშვილო!) მარრისა და ი. ჯავახიშვილის აზრები და ნაწერნი, მაშინ ვგონებ, ცოტათი შეიბრალებდა ბ. ქვარიანს და თუ მაინცა და მაინც, იმას აღნიშნავდა, რომ მეცნიერულმა კვლევა ძიებამ დინჯი და სინდისიერი მკვლევარებისამ, უაღრესად პუბლიცისტი, ვიდრე მეცნიერი ქვარიანი ცოტა გადაჭარბებული პათოსით ალაპარაკა და არა ესე მკაცრად დასცინებდა. წარ-

მოიდგინეთ ბ. კარბელაშვილო, თვითონ მარბმა პეტერგურბის 'ამეცნიერო აკადემიის სადღესასწაულო კრებაზე, მისი აკადემიკოსად არჩევის რამოდენიმე დღის შემდეგ, თავის მშვენიერ სიტყვაში განაცხადა. . ასე რომ, ес"и Европа предъявить намъ (грузинамъ) векселя, и мы можемъ имъ и едъявить встѣпныя требованія-о, რადგანაც ჩვენ დიდი ღვაწლი მიგვიძღვის აწინდელ კულტურის შემუშავებაშიო. წარმოიდგინეთ ბ. კარბელაშვილო, რომ თქვენ მიერ გამასხარაებელი „მეტალურგია“-ს შესახებ ქვარიანმა კი არ დაიწყო პირველად ლაპარაკი, არამედ უწინარეს ყოვლისა ასურეთისა და საბერძნეთის ძველმა ისტორიკოსმა, ჩვენს დროში კიდევ გვროპიელმა გამოჩენილმა მეცნიერმა და შემდეგ უფრო ფრთხილად და მასთან უფრო დასაბუთებით მარბმა და ჯავახიშვილმა. მარბმა ამ „მეტალურგიის“ ეტიმოლოგიას არა ერთი და ორი საგულისხმო ფურცელი შესწირა. ი. ჯავახიშვილი კი სწერს: ამ ქართველ ტომებს მარტო თავიანთთვის კი არ უკეთებიათ მადნეული ქურქელი და იარაღი. ანამედ ისეთ შორეულ ქვეყნებშიაც კი მიჰქონდათ ხოლმე გასასყიდათ როგორც იყო ტვიროსი. . . ერთი სიტყვით უმთავრესი და კაცობრიობის წარმატებისათვის საჭირო მადნების სახელები ან ქართველ ტომებისაგან არის შეთვისებული, ან არა და მათ სატომო სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი. ამით ცხადათა მტკიცდება, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის შეუშავებაში კაცობრიობის წინაშე საპატიო ღვაწლი მიუძღვით“ და სხ. და სხ.

რომ ქართველ ტომებს ტიტანიური შეჯიბრება და ცილაობა ჰქონდა მძლარ ასურეთთან და ასურეთის გაძლიერებამდე კიდევ ეგვიპტესთან, ამას ასე სასაცილოდ არ აიგდებდით თქვენ, რომ გაეგონათ და იცნობდეთ ლეიარდისა, ან ლენორმანისა, ან მასპეროსი, ან ტელიორისა, ან პერრო და შენიესი და სხ. და სხ. ჩვენთვის ძნელმისაწლამ მეცნიერთა ნაწერებს თუ არა, იმდენი ცნობის მოყვარეობა მაინც რომ გამოგეჩინათ და გადაგეთვალთ რეინათ ი. ჯავახიშვილის წიგნი და გასცნობოდით იმ ისტორიულ გზებს, რომლითაც ქართველები ააიერ კავკასიაში შემოვიდნენ.

მართალია, ისეთი ფრთხილი ისტორიკოსი, როგორც ი. ჯავახიშვილია, უკანასკნელ სიტყვას ასე ადვილად არ იტყვის, მაგრამ იმას მიხედვით, რაც იაქვა და ამბობენ მეცნიერნი ქალდეველებზე, ხეტელებზე და სხ. ჩვენ, სულმოკლე ადამიანებს ასე

მკაცრად ნუ დაგვიძრახავთ და ნუ დაგვიცინებთ, თუ ზოგჯერ ამჟამობის ძახილი წამოგვცდებდა და მედიდურად ყელს მოვიდებოთ: დიდებული წინაპრები გვეყოლიაო.

თქვენ თითქმის გულნამცეცობასაც იჩინებთ და გეოგრაფიის სწავლებასაც კისრულობთ: მესობოტამიაც ხომ მცირე აზიაშიაო. მესობოტამია ხომ ტიგროსის და ევრატის მიდამოებს ჰქვია და ძლიერ შეწეულია მატერიკის შუაჟულისაკენ, მცირე აზიას კი უმეტეს ნ.წილად მხოლოდ ნახევარ კუნძულს უწოდებენ, რომ ასე ცხადია ბ. ქვარიანს სახეში ჰქონდა ქალდეველთა და ხეთელთა მთელი სამფლობელო, თვით ზღვამდე მცირე აზიის მხრით, და იმათ რომ ეს მხარეები, ოდესმე სქერიათ უფრო მეტად დასაჯერებელია, ვიდრე უარსაყოფი და ისეთი დაბეჯითებითი ლაპარაკი „არასოდეს არ სქერიაო“, თუ ბ. ქვარიანს არ ეპატიება, არც თქვენ გეპატიებათ; და არ შეგშვენით, რადგანაც შესაძლებელია ვინმემ მეტიარა დაგიძახოთ.

თურმე თქვენ ღიმილს გგვრით ეს აზრი: „დიდად, დღეს უმადურ ევროპას არ ახ ოგს ის გმირიო“, მაგრამ ასეთი საყვედურებით ხომ მარბისა, ჯავახი-შვილისა და ნიკოლსკის ნაწერებიც სავესა და ანუ თუ ეს მეცნიერნიც თქვენ ღიმილის გუნებაზე გაყენებთ ხოლმე... ჰმ, ძლიერ მხიარული ბრძანებულხართ!

აი თქვენ რომ გეკითხათ: მერე და რა გვაქვს საერთო იმ ჩვენი უუშორესი წინაპრების დიდ კულტურასთან, გვაცხია რაჟე იმ დიდებისაო, მაინც დარწმუნებული ვარ ბ. ქვარიანიც ჩაფიქრდებოდა და ანგაოიშს გაუწევდა ამ სერიოზულ საკითხს, რამდენად შეგვიძლია ვიპაყუთ იმ დიადი წარსულითა, მაგრამ დღეს კი მას უფლება აქვს თავისებურ ვენებიან კილოთი მოგაძახოთ: „ნუ ლაპარაკობ იმაზე, რაზედაც ჩემზე გაცილებით ნაკლები წარმოდგენა გვაქვსო“.

ნაცნობი.

ღია წერილი

შათა მდალდირსებას სომეხ-კათოლიკეთა მმართველას ბ. ანხანდრატ ტურ სარქის ტურ-აბრამანას მამართ.

ახალციხის კათოლიკე-ქართველები, წოდებულნი სომეხ-კათოლიკებად, მოგ ართავთ თქვენს მალაღობრსებას შემდეგი წერილით.

გავლილ 1913 წლის ზაფხულში, ჩვენ მეზობელ ახალციხელ რამდენიმე ქართველ კათოლიკეს თავისი შვილები მოუნათლიათ ლათინურის წესით. გავლილ დღეებში უსახელო წერილით გაგიგიათ ეს ამბავი და შეძრწუნებულხართ. დიდის რიხით მოგიტხოვიათ ამ საგანზე ნამდვილი ცნობა ჩვენი მღვდლისაგან და მასთანვე საყვედური—კიცხვა, რომ მათ თავის დროზე არ გაცობეს ამისთანა უკანონო შემთხვევა.

ამგვარი თქვენი განკარგულება ჩვენ დიდად გვეყინს, გვადლევენს და გვამცირებს, რადგანაც ჩვენი მოქმედება არ არის წინააღმდეგი არც სასულიერო და არც სამოქალაქო წეს-კანონისა. თქვენც კარგად მოგეხსენებათ 1905 წლის 17 აპრილის და 17 ოქტომბრის მანიფესტი სინდისის თავისუფლების შესახებ. იმავე მანიფესტის ძალით ჩვენი თხოვნისამებრ, კავკასიის უმაღლესი მთავრობისაგან ნება გვაქვს სომეხ-კათოლიკე ტიპიკონიდან ვადვიდეთ რომის კათოლიკეთა ლათინურ ტიპიკონზე.

რა მოხდა ეკლესიის საწინააღმდეგო? ის, რომ კათოლიკე მშობლებმა, იმავე კათოლიკე-ეკლესიის სარწმუნოებაზე ლათინის წესის მღვდელს თავიანთი შვილები მოანათლინეს. ნუ თუ ეს დანაშაულია?!

თქვენმა მალაღობრსებამ როგორც კათოლიკე-ეკლესიის დამცველ-მფარველმა, ამ საქმეში ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვათ. თუ თქვენ ნაციონალური ინტერესი გაქვთ სახეში, მაგნიარი გულმტკივნელობა, მოსარჩლეობა აღმოუჩინეთ. იმ კათოლიკე სოხებს, რომელზედაც დადგენილხართ უფროსად პაპი პის მე-X დეკრეტით, რომელშიც მოხსენებულია: „დადგენთ თქვენ სამოციქულო მმართველად სომხის გვარის კათოლიკეებზე რუსეთის იმპერიაში“ ჩვენზე კი არავითარი უფლება არა გაქვთ, რადგან სომეხები არ ვართ მხოლოდ სარატოვის რომის-კათოლიკეთა ეპისკოპოსის დაუდევრობით მოხდა ის დიდი შეცდომა, რომ კათოლიკე ქართველებიც სამცხე-ჯავახეთისა თქვენ მმართველობაში ჩაგვრიცხეს.

ოთხი წელიწადი იცხოვრეთ ჩვენ შორის ახალციხეში, ნუ თუ არ დარწმუნდით ჩვენ ქართველ ეროვნებაზე რა ნახეთ ჩვენ ხალხში სომხური: ზნეხასიათი ენა, ჩვეულება თუ შეერთება-შეთვსება სომეხ-კათოლიკებთან.

აგერ 8 წელია განვლო რაც სომეხ-კათოლიკე ერი სხვა სომეხებთან ერთად გადმოსახლდნენ არზრუმის ვილაეთიდან ჩვენში და დასახლდნენ ქართველ-კათოლიკეთა სოფლების სიახლოვის. ამ ხნის განმავლობაში ეს ორი ერთ-მორწმუნე ხალხი,

თუმცა ერთ მეორის სოფლიდან ორი-სამი ვერსის სიშორით სცხოვრობენ მეგობრულად, მაგრამ დღევანდლამდე არც ერთი მაგალითია, რომ ქ.-კათოლიკეთა რომელიმე სოფელში მომხდარიყოს მძახლობა ან მოყვრობა სომეხ-კათოლიკეებთან. საზოგადოდ, ჩვენი ხალხი უფრო სიადვილით უმძახლდებოდა უკავშირდება: პოლონელებს, გერმანელებს და სხვათა, ვიდრე სომეხ კათოლიკეთ... ამ ცხად ფაქტს ხომ თქვენც დაგვიმოწმებთ!

თუ აქამდის არ მოხდა ჩვენი ერთი მეორესთან შეერთება-შეთვისება, ამას შემდეგ სრულებით შეუძლებელია, რადგან ჩვენში დიდად გაცხოველებულია ეროვნული შეგნება-სიყვარული. აი, ეს ეროვნული გრძობა-მისწრაფება გვაძულებს ჩამოშორებას, რადგანაც სომხის ტიბიკონს ჩვენ ვერასოდეს ვერ შეურავდებით. რამდენია ჩვენში ისეთი, რომელიც შეილებს არ ანათვლინებს სომხური წესით. სხვათა შორის შარშან ს. ვალის მცხოვრებმა გაბრიელ გოზალა-კოქიაშვილმა მოგმართათ თხოვნით, რათა ნება მიგეცათ შეიღის მონათვლისა ლათინური წესით, მაგრამ უარი მიიღო და დღესაც რვა წლის ვაჟი მოუნააღლავი ჰყავს. ეკლესიის კანონით კი, ბავშვი ორი კვირის განმავლობაში უნდა მონათლოს. როდის მოელება ბოლო ჩვენ ამისთანა შავ-ბნელ ბურუსით მოცულს აბუჩად ავდებულ მდგომარეობას?! თუმცა კი ძალა-უნებურად ვითმენთ დრომდის, მაგრამ მთელი ქვეყნის წინაშე ვლადებთ და ვიტყვი: აღარ გვსურს ყოფნა სომეხ კათოლიკე ტიბიკონზე. ყოველს საშუალებას ვიღონებთ და აღარ დავრჩებით თქვენი ნაძალადევი ბატონობის ქვეშ, ჩვენი სურვილია ვიყოთ იმავე ტიბიკონზე, რომელზედაც არიან ჩვენი მოძმე: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და სხვა ადგილების კათოლიკე ქართველნი...

(ხელს აწერს 14 კაცი).

ძალად სომეხ-კათოლიკე მესხნი.

P. S ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც, გადაბეჭდონ ეს წერილი.

ნ ა რ ე კ ი

სოციალ-დემოკრატიულ „ფიქრში“, ვინმე „აღბურთონი“ სწერს შესანიშნავ ზოგზს „ლაღვაი“, სიტყვა მართავეს მამულიშვილთა“ სხვათა შორის შექმდეს „ქართულას“ სიტყვებით:

ვინც „ზოდლოვებით“

დახოს-ხრიკებით

ფსეკობას წიხლავს, ფილიდობს და სიტყვა, (??)

ვინც მხოლოდ ენით

და არა რწმენით

იბრძვის, დაქლაქობს, ჭორაობს, და ბზუა .. (??)

ჩვენ გასხე ვტოვებთ ღირგვისტურ თქრავებს ამ ლექსისას და მარტო „თვითგამორკვევის“ ბავაღლოვსკედ შივაქტევთ შეითხველის უურადღებს, „აღბურთონი“ დახმდავს „მამულიშვილთა“ რატომ მარტო ენით და არა რწმენით დაქლაქობთ, ჭორაობთ, ბზუით.

ეს მარტო უთუოდ იმატამ მისდით „მამულიშვილებს“, რომ აღბურთონი-სოციალ-დემოკრატიებით ვერ დახლოვანებულან იქეთ ჯამბაზობაში, რამ რწმენით დაქლაქობს, იჭორაობს და იბზუებს. სხვა არა იყოს რა, ფიზიკურადღე ძნელა მოსახერხებელია დაქლაქი, ჭორაობა და ბზუელი, თუ არ ენით. ჩვენ გვაკვირს, რატომ „აღბურთონი“ ლექტის არ წააკითხავს, თუ როგორ შეიძლება უკულა ამის ჩადენა რწმენა და სხვა მანქანებით.

ჩვენს რედაქციაში გამოფენილია ოთხი სურათი ცნობილ მხატვარ გ. ი. გაბაშვილისა.

1. „სალამო საქართველოში“;
2. „ხევსურთა ბრძოლა“;
3. „ძველი ივერიელი“;
4. „ქალი ყურძნით“.

მათი დათვალიერება მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე დილის 11—2 საათამდის.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

ქვეყნის საზოგადოებრივი და სალიტერატურო განვითარებისათვის

„იმერეთი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის. გაზეთის ფასი: ერთი წლით—7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით—80 კ. ცალკე ნომერი ერთი შაური.

ადრესი: Кутаисъ, редакція газ. „Имерети“.

ყოველკვირეული სასაბჭო-სალიტერატურო, სათეატრო და საზოგადოებრივი შინაარსის ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ-კორესპოდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარ-გარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი, და მხატვარ-ხელოვანნი.

ჟურნალის ფასი: წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი იორ შაური. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამატ. საზოგ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაბნის“ სტამბაში).

1894 წლიდან

1914 წლამდის

საუკეთესო დგინოდ ითვლება დგინოდ

საზოგადოება „კახეთი“-სა

ბელეფონი: № 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63 და ექვნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.